

კინგის ქართული ენის ოლიმპიადის I ტური

მე-6 კლასი

I სავარჯიშო. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს: (30 ქულა)

კაჭკაჭი და მწყემსი

ერთხელ არწივი მაღალ კლდეზე იჯდა. ბატკანი დაინახა, დააცხრა და ჰაერში აიტაცა. ეს რომ კაჭკაჭმა დაინახა, შეშურდა და გადაწყვიტა არწივისთვის მიეზამა: შურდულივით გამოქანდა და ბატკანს ეძგერა. ბევრი ექაჩა, ფრთები უტყლაშუნა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. ამასობაში მწყემსმაც მოუსწრო, კაჭკაჭს განზრახვას მიუხვდა, შეიპყრო, ფრთები შეაჭრა და ბავშვებს გასართობად მიჰგვარა.

___ ეს რა ფრინველია?___ იკითხეს ბავშვებმა.

___ მე რომ მკითხოთ, კაჭკაჭია, მაგას რომ ჰკითხოთ, არწივი ___ მიუგო მამამ.

1. ნაწარმოების პერსონაჟები არიან:

ა. კაჭკაჭი და მწყემსი.

ბ. მწყემსი და ბავშვები.

გ. მწყემსი, ბავშვები, არწივი, კაჭკაჭი.

2. რამ გაიტაცა ბატკანი?

ა. არწივმა

ბ. კაჭკაჭმა

გ. მონადირემ

3. რას შეშურდა არწივის ძლიერების?

ა. კაჭკაჭს

ბ. ძერას

გ. არწივის მეგობარს

4. „შურდულივით გამოქანდა“ იგივეა, რაც:

ა. გადმოვარდა

ბ. სწრაფად ჩაფრინდა

გ. გაითამაშა

5. რა განიზრახა კაჭკაჭმა?

ა. ბატკნის გატაცება

ბ. მონადირის შეშინება

გ. ბავშვების შეშინება

6. ვინ დაიჭირა კაჭკაჭი?

ა. არწივმა

ბ. ბავშვმა

გ. მწყემსმა

7. რატომ შეაჭრეს კაჭკაჭს ფრთები?

ა. გაფრენა რომ აღარ შეძლებოდა.

ბ. შეჭრილი ფრთებით უფრო ლამაზი იქნებოდა.

გ. ბუმბული ცვიოდა.

8. რატომ მიუყვანა მეცხვარემ კაჭკაჭი ბავშვებს?

ა. ბავშვების შეშინება სურდა.

ბ. კაჭკაჭი შინაური ფრინველია.

გ. იცოდა, ბავშვები გაერთობოდნენ მასთან თამაშით.

9. რა ეგონა კაჭკაჭს?

ა. მონადირე დაიჭერდა.

ბ. ბავშვებს გაართობდა.

გ. არწივივით ძლიერი იყო.

10. ნაწარმოების მიხედვით, კაჭკაჭი არის:

ა. გონიერი

ბ. მხიარული

გ. ბრიყვი

II სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი პასუხი: (10 ქულა)

11. რომელმა ქართველმა გმირმა გასწირა თავი მეფისათვის?

- ა. დავით აღმაშენებელმა.
- ბ. იოთამ ზედგენიძემ.
- გ. თევდორე კვეთელმა.

12. ვინ არის ქართველი მეიგავე?

- ა. ეზოპე
- ბ. სულხან-საბა ორბელიანი
- გ. არცერთი პასუხი არ არის სწორი

13. ვინ არის ავტორი ნაწარმოებისა „იავნანამ რა ჰქმნა?“

- ა. აკაკი წერეთელი
- ბ. ვაჟა-ფშაველა
- გ. იაკობ გოგებაშვილი

14. რომელი ქართველი მწერალი დაიბადა სხვიტორში?

- ა. ილია ჭავჭავაძე
- ბ. რევაზ ინანიშვილი
- გ. აკაკი წერეთელი

15. შემოხაზეთ ქართული მითის გმირი:

- ა. ამირანი
- ბ. პრომეთე
- გ. არცერთი პასუხი არ არის სწორი